”რაზდანი” ტაშს უკრავს დინამოელებს

ერევანი. ”რაზდანის” სტადიონი. 11 ივლისი.

”არარატი” (ერევანი) – ”დინამო” (თბილისი) 1:4 (1:1).

”დინამო”: გაბელია, ანდღულაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი (სვანაძე), მუჯირი, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (თავაძე).

”არარატი”: ანტონიანი, პეტროსიანი, ქეროფიანი, მხითარიანი (გალსტიანი), მოვსესიანი, პოღოსიანი, ბონდარენკო (ასატრიანი), ოჰანესიანი, ღასაბოღლიანი, მელიქიანი, ხაჩატრიანი.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მინდვრიდან გააძევეს თ. სულაქველიძე. გააფრთხილეს ს. ბონდარენკო.

განვლილი მატჩისთვის ”არარატს” 17 თამაშიდან 15 ქულა ჰქონდა და სახიფათო ზონის სიახლოვეს იმყოფებოდა. წაგების შემთხვევაში მას უშუალოდ სახიფათო ზონაში მოუწევდა გადასვლა, ხოლო გამარჯვების შემდეგ სატურნირო ცხრილში ხუთი ადგილით ზევით გადაინაცვლებდა.

თბილისის დინამოელთა ეს მატჩი ”გასვლითი ტურნირის” დასაწყისი გახლდათ. მოგების შემთხვევაში დინამოელები პოზიციებს განიმტკიცებდნენ (მესამე ადგილზე).

ამრიგად, მატჩს გაცილებით მეტი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ერევნელთათვის. მით უმეტეს ისინი ბოლო 3 ტურში 3-ჯერ დამარცხდნენ: ”ყუბანთან” (1:5), ”ტავრიასთან” (1:2) და მოსკოვის ”დინამოსთან” (1:3).

ტრადიციისამებრ ამ გუნდების შეხვედრები ყოველთვის დაძაბული, უკომპრომისო ბრძოლით ხასიათდება. ამჯერად კი ერევნელებს, რომ იტყვიან, უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდათ...

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მერე თბილისელები შედარებით გააქტიურდნენ, მაგრამ გუცაევის, შენგელიას, დარასელიას იერიშებს შეუვალ კედლად ხვდებოდა ერევნელთა დაცვა.

მე-10 წუთზე შენგელიამ და გუცაევმა მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე რამდენიმეჯერ შექმნეს საგოლე სიტუაცია, მაგრამ მეკარე ანტონიანმა იმარჯვა, ხოლო მე-13 წუთზე მან ყიფიანის უძლიერესი საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

მე-15 წუთზე დინამოელები სწრაფ იერიშზე გადადიან, გუცაევმა დროულად შენიშნა მეტოქის საჯარიმო მოედნის სიახლოვეს თავისუფლად დარჩენილი შენგელია, ჩააწოდა ბურთი, ბონდარენკომ შენგელიასთან ორთაბრძოლაში ბურთი საკუთარი კარის ზედა მარჯვენა კუთხეში გაგზავნა - 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მარცხს მასპინძლები არ შეუშინებია. პირიქით, ერევნელთა თავდასხმამ და ნახევარდაცვამ გაორკეცებული ძალით შეუტია და 37-ე წუთზე ხაჩატრიანმა მიზანს

მიაღწია კიდეც - 1:1.

სწორედ ამ დროს მსაჯმა სულაქველიძეს ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც ჩვენი ნახევარმცველის არასპორტული საქციელის გამო წამსვე წითლით შეცვალა. დინამოელებს 10 ფეხბურთელით მოუხდათ მატჩის გაგრძელება.

რას იზამენ თბილისელები: შეძლებენ 11 ერევნელის წინააღმდეგ (ისიც მეტოქის მოედანზე) ანგარიშის შენარჩუნებას?

მეორე ტაიმის დაწყებიდან არ გასულა 3 წუთიც და თბილისელთა გააზრებულმა თამაშმა სათანადო შედეგი გამოიღო - გუნდი აწყობილი მექანიზმივით ამოქმედდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყიფიანი - მისთვის დამახასიათებელი მაღალი ოსტატობით, თამაშის დახვეწილი კლასით.

გუცაევმა თავის ფლანგზე განუწყვეტელი იერიშებით მოსვენება დაუკარგა ერევნელთა ნახევარდაცვასა და დაცვას. მან მთელი მეორე ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა, ქების ღირსია გუნდის თითოეული წევრი, მთელი კოლექტივი. თბილისელები აუღელვებლად და დინჯად მოქმედებდნენ, ხოლო ერევნელთაგან გამოირჩეოდა ხაჩტრიანი, რომელიც ერთადერთი გამოდგა მასპინძელთა შორის, რომელსაც ბოლო წუთამდე არ დაუყრია ფარ-ხმალი. 77-ე წუთზე კი ვიტალი დარასელიამ ლამაზად გაიტანა მე-4 გოლი და მატჩიც ასე დამთავრდა - 4:1 სტუმართა სასარგებლოდ.

გასახდელისკენ მიმავალ ქართველ ფეხბურთელებს "რაზდანის" სტადიონი მხურვალე ოვაციებით მიაცილებდა...

მატჩის შემდეგ დინამოელებს ვეწვიეთ გასახდელში.

ა. ჩივაძე: სასიხარულოა, რომ ჩვენმა გუნდმა მძიმე წუთებში გამოავლინა ნებისყოფა... კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რისი გაკეთება შეიძლება წონასწორობის შენარჩუნების, ძალების მობილიზების შემთხვევაში. სავსებით დამაკმაყოფილებლად ითამაშეს ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმაც.

დ. ყიფიანი: თავიდან გამიჭირდა, საშინლად ცხელოდა... ბიჭებმა დიდი შემართება გამოიჩინეს, არ შედრკნენ და დიდი ანგარიშით მოვიგეთ კიდეც.

ვ. გუცაევი: ორი კვირის შესვენების შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ და გასვლითი თამაშების სერია კარგად დავიწყეთ. ეს მატჩი პრესტიჟის მატჩი იყო და სტიმულის მომცემიც. გუნდი ძალასა და ღონეს არ დაიშურებს, რათა კვლავაც წარმატებით ითამაშოს.

რ. შენგელია: რა??????????

ვ. დარასელია: ჩვენ ეს გამარჯვება ერევნელებზე არანაკლებ გვჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ათნი დავრჩით. შესანიშნავად ითამაშა დებიუტანტმა ანდღულაძემ. ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ კვლავ გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

თ. ჭეიშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).

"ლელო", 14 ივლისი 1981 წ.